ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4195534

ნომერი: AR1633216

თარიღი : 26.09.2018

გაცემის თარიღი : 10.10.2018

გაცნობის თარიღი : 10.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N35ბ ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 35 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი თოფურია პ/ნ 01030009451
- თბილისი, პეკინის გამზ. #2, ბ.65

ორგანიზაცია:

- შპს ახალი სკოლა კოდი: 202903750

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით
დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენებისპირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 სექტემბერს AR1633216 განცხადებით მომართა მოქალაქე ირაკლი თოფურიამ და მოითხოვა 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, წყნეთის გზატკეცილი, N35-ის მიმდებარედ. №01.14.07.001.025 საკადასტრო ერთეულზე (ფართი: 600 კვ.მ) სკოლისთვის განკუთვნილი დამხმარე ნაგებობის (დახურული სპორტული კომპლექსი) აშენების მიზნით №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2017 წლის 06 თებერვლის №3069825 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებაში, გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი და შეიცვალა საკადასტრო კოდი: №01.14.07.001.032, ფართობი 8326.00 კვ.მ.
2018 წლის 23 აპრილის №3925299 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებაში, გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი და შეიცვალა საკადასტრო კოდი: №01.14.07.001.057, ფართობი 8726.00 კვ.მ.
დღეის მდგომარეობით კვლავ შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და საკადასტრო კოდი.(საკადასტრო კოდი: 01.14.07.001.060; განცხადების ნომერი: 892018756787; მომზადების თარიღი: 30/08/2018; ფართობი: 9176.00 კვ.მ.).
აგრეთვე განმცხადებელი ითხოვს ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებას დაემატოს ,, საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის“

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს განახლებული საკადატრო მონაცემები: საკადასტრო კოდი: 01.14.07.001.060; განცხადების ნომერი: 892018756787; მომზადების თარიღი: 30/08//2018 ; ფართობი: 9176 კვ.მ;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის2015 წლის 04 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულმიწისნაკვეთისსამშენებლოდგამოყენებისპირობებშიდაობი ექტისფუნქციურდანიშნულებას დაემატოს ,, საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის“.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან, 2017 წლის 06 თებერვლის №3069825 და 2018 წლის 23 აპრილის № 3925299 ბრძანებებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge